ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363

კნეინა ევა გიორგის ასული ჩხეიძისა, სოფიო ნიკოლოზის ასული ჩიკვაიძისა და კნიაჟნა ნინო ნიკოლოზის ასული ჩხეიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი **მამამთილისას**, ხოლო დანარჩენნი **პაპისას**

ივანე ყარამანის ძე ჩხეიძისას,

სთხოვენ მათ, რომ პატივი სცენ და მობრძანდნენ განსვენების დროს სოფელ იტრიაში, ღვთის-მშობლის ეკკლესიაში, შაბათს, თერთმეტს იანვარს, დილის ათ საათზედ. (3—1)

რედაქციისაგან

იმ პირთ, რომელთაც ხელის მოწერა არ განუახლებიათ, დღეიდგან გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. (3—2)

„ივერია“

გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდამ, ყოველ დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს.

ფასი გაზეთისა:

	მ.	კ.		მ.	კ.
11 თვით და 13 დღით —	9	60	6 „ — — — —	6	„
11 „ — — — —	9	50	5 „ — — —	5	50
10 „ — — — —	8	75	4 „ — — —	4	75
9 „ — — — —	8	„	3 „ — — — —	3	50
8 „ — — — —	7	25	2 „ — — — —	2	75
7 „ — — — —	6	50	1 „ — — — —	1	50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა, № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვლა ვინმეს უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება.

ტელეფონი № 349



ტელეფონი № 349

სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვისა და კ.

ტფილისი, დოლის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად**.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—9 წ.)

1897 წლისთვის

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გრ. გუნიას-მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.**

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

სურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: **Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава.** (300—14)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება. ოცდა-რვა მომავალ თებერვალს მოხდება **ჩვეულებრივი კრება ტფილისის მაზრის თავად აზნაურთა, ტფილისის კეთილშობილ დეპუტატთა კრების კანცელარიის სადგურში,** სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურთა სახლში.

აღმასრულებელი ტფილისის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლის თანამდებობისა მიხეილ პეტრეს ძე ისარლოვი აუწყებს ამას თავად-აზნაურობას ტფილისის მაზრისას და უმორჩილესათ სთხოვს მათ, წარმოუდგინონ საბუთნი თავიანთ უფლებაზედ, რომლითაც შეეძლოსთ დასწრება არჩევანებში და თავად-აზნაურთ საქმეების განხილვაში. ხსენებულნი საბუთნი უნდა წარმოუდგინონ წინათვე, ვიდრე კრება დაიწყობოდეს, დეპუტატთა კრების კანცელარიაში, ჩასაწერათ სიაში. (3—1)

ქ. ქუთაისი.

ქართული თეატრი

1897 წ. კვირას, 12 იანვარს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა და აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

უბრალოდ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და ფერაძისა, ბ.ბ. აბაშიძე, მარჯანიშვილი, ბალანჩივაძე, ნემო, თუთბერიძე, აბულაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

კბილის ექიმი

ვ. ი. პიპინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

„ახალი მკითხველი“

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემებზე.

ფასი მთელი წლისა **3** მანათი.

შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.

ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель“. Ивану Павловичу Ростомову.* (30—2)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

ვექილი

ვ. ბ. ვეაზავა

კისრულობს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.

(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).

დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—2)

კანონი და მთავრობის განკარგულება.

საადმინისტრაციო დაწესებულებაში. რაჭის მაზრის უფროსს სტატსკი სოვეტნიკს ზურაბ ყიფიანს ებოძა ორდენი წმ. ანნა მეორე ხარისხისა; ქუთაისის საპატიმროს უფროსს ივარსკის ებოძა ანნა მესამე ხარისხისა. ქ. თელავის მცხოვრებს არტემ კირაკოზოვს ებოძა ვერცხლის მენდალი, ქ. ტფილისის სავაჭრო დეპუტატს ჯოვანს ვერცხლის მენდალი. სამოსწავლო დაწესებულებაში. ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან დირექტორი მესამე საკლასიკო გიმნაზიისა მარტინოვსკი.

ახალი ამბავი

⁂ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი და სამინისტროს მოწერილობა. ჩვენ ნამდვილ წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს ამ დღეებში მოსვლია პეტერბურგის საკრედიტო კანცელარიიდან მოწერილობა, რომ ამ წლის პირველ იანვრიდან უთუოდ გაჰყიდოს ყველა ბანკზე დარჩენილი მამულები და თუ ვინიცობაა ვერ გაჰყიდა, შემოსავლიდან გადასწეროს ხსენებულ მამულებიდან მოსული ზარალი.

როგორც ვიცით, ქუთაისის ბანკზე ამ ჟამად ირიცხება 200,000 მანათისაზე მეტი დარჩენილი მამულები, ასე რომ ამოდენა მამულების გაყიდვა თითქმის შეუძლებელია უდიდ-ზარალოდ, ხოლო თუ ბანკმა ეს ზარალი გაიბათილა თავისს მოგებიდან, მაშინ ამ ბანკს თუ ძირი არ მოეთხარა, ყოველს შემთხვევაში იმსხვერპლის სათავად-აზნაურო სკოლას, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც მხოლოდ ბანკის შემოსავლითდა ედგა სული. სამინისტროს მოწერილობაში თურმე ისიც არის მოხსენებული, რომ თუ ვინიცობაა ბანკის შემოსავალმა ვერ დაჰფარა ბანკზე დარჩენილი მამულების ზარალი, მაშინ მოიშველიონ ბანკის სხვა თანხები, მაგალითად სათადარიგო და სხვა თანხებიც. ეს უკანასკნელი გარემოება ხომ სრულებით სულს შეუხუთავს ბანკის დღეგრძელობას და ვინ იცის, რა ზომამდე მიიყვანს ბანკის არსებობას. ასე იქნება თუ ისე, ეს-კი ეჭვს გარეშე არის, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ბედიღბალი დიდს განსაცდელშია ჩავარდნილი.

ნუ თუ ეხლაც არ გაახელს საზოგადოება თვალს, ნუ თუ ეს გარემოებაც არ გამოაფხიზლებს ურწმუნოთ და ისევ იმ ხიფათში დასტოვებენ ბანკს, რომელშიაც ამ ექვსიოდე წელიწადში არის ჩავარდნილი.

⁂ **ახლად დანიშნული ვარშავის (პოლონიის) გენერალ-გუბერნატორი** უგანათლებულესი თავადი ა. კ. იმერეტინსკი. დეპეშამ გვაცნობა, რომ პოლონიაში დაუნიშნავთ გრაფ შუვალოვის მაგიერად ახალი მთავარმართებელი უგანათლებულესი თავადი იმერეტინსკი. ეხლა მოგვყავს მისი ბიოგრაფიული ცნობანი. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე პირდაპირი შთამომავალია იმერეთის მეფეებისა, არჩილისა, ვახტანგ მე-V ძისა, ანუ შაჰნავაზ I-სა. ოსმალების, სპარსების და თავის ძმის გიორგის დევნით იგი იძულებულ იქმნა 1684 წ. რუსეთს, მოსკოვში გადასახლებულიყო. მეფე არჩილმა ხელმეორედ დაიბრუნა იმერეთის ტახტი 1691 წელს და 13 თვე მეფობდა, მაგრამ ისევ გააძევეს და გარდაიცვალა მოსკოვში 1713 წელს. არჩილს დარჩა ძე ალექსანდრე, რომელიც პეტრე დიდთან იზრდებოდა და მასთან უცხოეთშიაც მოგზაურობდა და რუსეთში გენერალ-ფელდცეხმეისტერის თანამდებობა ჰქონდა. ხოლო 1700 წელს, როცა პეტრე დიდი ომობდა შვეციასთან, ნარვის აღების დროს, ტყვედ იყო წაყვანილი სტოკჰოლმში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ალექსანდრეს დარჩა ძე კონსტანტინე ბატონიშვილი და მას ეყოლა შვილი 1837 წელს ალექსანდრე, ეხლანდელი მთავარ-მართებელი პოლონიისა. ალექსანდრე კონსტანტინეს ძემ სწავლა დაამთავრა პაჟის კორპუსში და მერე 1862 წელს ნიკოლოზის აკადემიაში. სამსახური დაიწყო საქართველოში რუს-ოსმალოს ომიანობის დროს 1855 წელს. 1863 წელს მონაწილეობას ღებულობდა პოლონეთში ამბოხების დროს, მერე დანიშნულ იქმნა ვარშავის ჯარს შტაბის უფროსად. 1877 წ. რუს-ოსმალოს ომიანობის დროს მეორე დივიზიის უფროსად დაინიშნა და გენერალ სკობოლევთან გაიმარჯვა ლოვჩის აღების დროს. პლევნის აღების დროს ალექსანდრე კონსტანტინეს ძე უფროსობდა მარცხენა მხრის ჯარით და გონიერ განკარგულებისათვის ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა. 1879 დაინიშნა პეტერბურგის ოლქის ჯართა შტაბის უფროსად. 1881—1891 წლებში იყო დანიშნული სამხედრო სასამართლოს უფროსად და უფროს პროკურორად. ამავე დროს ებოძა გენერალ-ინფანტერიის ხარისხი და წევრობა სახელმწიფო საბჭოში. ამ წლის პირველ იანვარს დაინიშნა ვარშავის გენერალ-გუბერნატორად.

⁂ **ბათომის ოლქის უფროსი ი. დ. ზაგაინი**, როგორც ისმის, ბათომიდან გადაყვანილ იქნება დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ გენერალ ტიხანოვის მაგიერ, რომელიც დაინიშნა ჩერნომორსკი გუბერნატორად.

⁂ **სამზარეულო კურსები.** გასულ წლის 22 დეკემბერს დაამთავრეს სწავლა სამზარეულო კურსების მოწაფე ქალებმა. ეს კურსები დააარსა სომეხ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ. უწინ ამ კურსებში სწავლა ორ თვეს იყო, ხოლო ეხლა კი 3 თვეს ყოფილა; სწავლა კურსებში ამა იანვრის დამლევს დაიწყობა. მსურველნი ეხლავე უნდა ჩაეწერნენ (ადრესი: განოვის ქუჩა № 25).

⁂ **ფოსტის წესების ცვლილება.** შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად მუშაობს საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა შემოიღოს ახალი წესები წიგნებისა, გაზეთების და ჟურნალების გაგზავნის შესახებ.

⁂ **სახალხო წიგნები.** ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს მეათე კრება ექიმებისა და ბუნების მეტყველთა. სხვათა შორის, ამ კრებაზედ საუბარი იქმნება შესახებ იმისა, რომ ხალხისათვის საკითხავ საუკეთესო წიგნის დამწერს ჯილდო მიეცეს ხოლმეო.

⁂ **ბრძანება აფთიაქარებს.** რუსეთის ყველა აფთიაქარებს ებრძანათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სხვა-და-სხვა საწამლავს და დიდის სიფრთხილით გაჰყიდონ.

⁂ **სახელმწიფო ბიბლიოთეკის შესახებ.** ქალაქის თვით-მმართველობა ხელს უმართავს ტფილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკას წელიწადში 1030 მანათის შემწეობით. საბჭოში ხშირად ჩამოვარდნილა ლაპარაკი მასზედ, რომ ეს ბიბლიოთეკა ჯეროვანად ვერ ასრულებს თავის დანაშნულებს, რადგან ისეთ დროს იღებენ მკითხველ საზოგადოებას, როდესაც იშვიათად ვინმე ისარგებლებს ბიბლიოთეკით, რადგან თორმეტიდამ ოთხს საათამდე ან სამსახურშია ხალხი, ან დაღლილია მუშაობისაგან და ეშურება სადილს. ქალაქმა სთხოვა მთავრობას, რომ ბიბლიოთეკა გახსნას ხოლმე დილით ადრე, შუადღის ორსაათამდე და საღამოობით 6 საათიდამ 9—მდე. ეს თხოვნა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. შემდეგ საბჭომ განიზრახა საკუთარ საქალაქო ბიბლიოთეკის გამართვა სახსოვრად ხელმწიფე იმპერატორის ჯვარისწერისა, რისთვისაც გადასდო წლიურად 4000 მანათი. ამ ბიბლიოთეკის გამართვის ნებართვის ქალაქი ელოდება დღე-დღეზე და ამიტომ საფინანსო კომისია ურჩევს საბჭოს, რომ მან წარუდგინოს მთავრობას თხოვნა, რათა ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას 1030 მანათიდამ, რომელსაც იგი წლიურად აძლევს ხსენებულ სახელმწიფო ბიბლიოთეკას. უეჭველია, ეს აზრი კომისიისა მოწონებულ იქმნება საბჭოს მიერ.

⁂ **კიდევ ქურდობა.** სოფელი სვენეთი. აქაურ გლეხს ვანო ბეჟანაშვილს გაუტეხეს ფარეხი და მოიპარეს ჩვიდმეტი რჩეული ცხვარი. აი საქმის გარემოება: ვანოს ეშინოდა ქურდებისა და თავის ცხვარსა და ფარეხს მუდამ ღამე ჰდარაჯობდა. ფარეხი სოფლის პირში აქვს და ახლო მხოლოდ ერთი ბებერი დედაკაცი სდგას თავის შვილიშვილებით. ცხვრის პატრონი იქვე გვერდზე მდგომ საბძელში იძინებდა თურმე. 15 ქრისტეშობისთვეს, ასე თერთმეტ საათამდე; თურმე იჯდა საბძელში და თვალი ეჭირა ფარეხზედ; მერე უფიქრია, ამოდენა ხანია ცოლშვილში არა მძინებია, მოდი დავკეტავ კარებს და გადავალ სახლშიო. რაღა ამაღამ მოვა ქურდიო. მაგრამ სწორეთ ქურდებიც იმ ღამეს მისულან. გაუტეხიათ კლიტე და სულ სანთლით დაურჩევიათ ჩვიდმეტი სული მაკე დედალი ცხვრები და გაურეკიათ. დილით მივიდა პატრონი და გული კი გაუსქდა. ფიცრები გამომტვრეული დახვდა. მაშინვე ნაცვალს შეატყობინა. მოვიდა ნაცვალიც, მაგრამ რაღას უშველიდა. ბებერმა მეზობელმა სთქვა: შუაღამისას ბრაგა-ბრუგი მესმოდაო, მაგრამ მე პატრონი მეგონაო, ცხვარს თუ სთვლისო და რა ყურადღებას მივაქცევდიო. ეძებეს ყველგან, მაგრამ ჯერ კვალი ვერსად მიუკვლევიათ. საკვირველი ის არის, 17 ცხვარი ისე სად წაასხეს, რომ ან კვალი არ მიჰყვა და ან არავინ ნახა. ასე ამბობენ, წინამძღოლი შინაურივე ჰყავსო, თორემ ამ საცოდავ პატრონს იმ ღამის მეტად არ დაუნებებია თავი ფარეხისთვის და იმ ღამესვე მოჰპარესო.

⁂ **ქ. გორი. წარსული წელი და გორის უბედურება.** წავიდა ძველი წელიწადი და მიჰყვა ზედ მთელი გორელების წყევლა-კრულვა: „შენი წასვლა დმ ნუღარ მობრუნებაო, შე ოხრად დასარჩენოვო“. და სწორედ დასაწყევლიც არის ძველი წელი ყველასაგან. იმერთაგან, რომ იგინი წყალ დიდობამ დააგცია; კახთაგან, რომ მათი უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა, ღვინო, ისიც-კი არ მოუვიდათ რიგიანი. ქართლელთაგან, რომ ისინიც წყალდიდობით და უმოსავლობით დაზიანდნენ. მაგრამ წარსული წელიწადი-კი გორელებთან ყველაზედ პირშავია. მართალია მათ გამოიარეს ყველა ზემოხსენებული ზარალი. ღმერთო, რა არ დააყენა მარტო ჯერ წყალდიდობამ: მთელი სახლები წმინდა წყალზე და სათავად-აზნაურო ქუჩაზედ და თვით ის ქუჩაც დღეს აღარსადა სჩანან, იმათი ხსენებაც აღარ არის. ერთად ერთი გორელთა დროს გამატარებელი ქალაქის ბაღი—ისიც-კი არ დაინდო უმადურმა მტკვარმა. გორელებს ჯერ არც-კი მოენელებინათ ზემო ზარალი რომ ახლა სხვა გაუხდა საგლოვარი. ერთად ერთი საუნჯე და შემაერთებელი გორისა და გორის მაზრისაც მთელს თბილისის გუბერნიასთან—ხიდი მტკვარზედ—მოუგლიჯა, წაიღო და გორი დარჩა გულ-ხელ დაკრეფილი ორთა შუა წყალში; ეს უბედურება გორს სწორედ მაშინ შეემთხვა, როდესაც ერთი ორი თვის შემდეგ ეს ხიდი უნდა გამხდარიყო უბაჟო. რა ჰქმნას გორმა? ერთი მხრით მტკვარი აქვს, მეორეთი—ლიახვი და მესამეთ წმინდა წყალი და ფშანი. გორში შეჩერდა ვაჭრობა, ყველა ცხვრის ფარასავით წყალს უყურებს, მას როგორ მოაქვს ზევით ქართლში დანგრეული სახლის კოჭები და ფიცრები.—და თვითონაც გულის ძგერით მოელის ასეთსავე უბედურებას. ზაფხული და-

---

ვაჭრების საყურადღებოდ.

მუხრან-ბატონის ღვინოების წარმოება.

თბილისიდგან 40 ვერსზედ სოფელს მუხრანში ქვით და რკინით აშენებული დიდი სასახლე დგას. როდესაც ქსნის პატარა ქედს გასცილდები ეს სასახლე მაშინვე გამოჩნდება 4—5 ვერსის მანძილზედ: სრულიად ვერ წარმოიდგენ თავს, რომ საქართველოში ხარ, არამედ სადმე საფრანგეთის ანუ ინგლისის სოფელში, სადაც მდიდარ მემამულეთ აქვთ აგებული ამ გვარი სასახლეები, კოშკებით, ბანებით, კიბეებით, გადახლართულ ხიდეებით ერთი ბანიდამ მეორეზედ, სამ საჟენიან სარკმელებით და სხვ. ვისაც ამ გვარი სასახლე არ უნახავს სამზღვარ გარეთ, ის მხოლოდ მაშინ წარმოიდგენს იმის სიდიდეს და სიმშვენიერეს, როდესაც ბავშვობაში გაგონილ ზღაპრებს მოიგონებს.

ეს სასახლე ეკუთვნის თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს. ჩვენის ცნობით, სივრცით ყველაზედ უფრო დიდი მამული საქართველოში ეკუთვნის თავ. მუხრან-ბატონს. თბილისის გუბ., დუშეთის მხარეში, იმას ეკუთვნის 32 ათასი დესეტინა ადგილი, ამათ გარდა თავადს აქვს მამულები ბათომის ახლო და თელავის მაზრაშიაც..

ყველაზე უფრო მეტი ყურადღება თავადისა მიქცეულია ღვინოების წარმოებაზედ. რვა სოფელში, სადაც კი მოსახერხებელი ყოფილა; თავადსა და იმის მამას თავ. ივანეს უშენებიათ ვენახები. საუკეთესო ვენახებათ სთვლიან დამპალოს, ხანდაკის, ნიჩბისის, ჯანგულარის, ციხის-ძირის, ნატანტარის, დიღომის და მუხრანის სოფლების ვენახებს, სივრცით 400 დესეტინა. ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყველა ვენახები გაშენებულია სამზღვარ-გარეთის წესზედ. მოვლა, მუშაობა, გასხვლა, ყოველივე ისე ხდება, როგორც ახლანდელ მეურნეობის მეცნიერება თხოულობს.

საშუალო წლიური მოსავალი ღვინისა ამ ვენახებისაგან არის 20 ათასი ვედრა. საშუალო ფასი ვედრასი არის 9 მანათი თუმცა ისეთი ღვინოებიც მზადდება, რომლის ფასი ადის ვედრაზედ 40 მანათამდის. საშუალო ფასებისაგან ღვინის შემოსავალი ამ ვენახებისა წლიურად იანგარიშება 180 ათასი მანათი.

ამდენი მოსავლის კვალობაზედ, რასაკვირველია საჭირო იყო ისეთი მოწყობილება, რომლის საშუალებით ღვინის დროზედ დაყენება და მისი კარგათ შენახვა შესაძლებელ ყოფილიყო. ყოველივე ამისათვის აგებულია თვით მუხრანში ის განთქმული ღვინის სარდაფები, რომელზედაც ყველას გაუგონია ჩვენში და რომლის აღწერა საინტერესოდ მიგვაჩნია ჩვენის მკითხველებისათვის.

სარდაფები ქვის თაღებით და იატაკით აგებულია სასახლის გვერდით. ზოგიერთი განყოფილება თვით სასახლის ქვეშ არის მოტანილი. სარდაფები, რასაკვირველია, მოწყობილია უკანასკნელ სისტემაზედ. როგორც საზღვარ გარეთ გამოცდილებით გაიგეს, თუ როგორი სითბო, რამდენი გრადუსი სიცივე უნდა იყოს ამ გვარ სარდაფებში—აქაც ყველაფერი ამის კვალობაზედ არის მოწყობილი. სარდაფებში სულ 20 განყოფილებაა კორიდორებით, დაყოფილი. აქეთ-იქით ყოველ განყოფილებაში აწყვია უზარმაზარი ბოჩკები. მთელს სარდაფს უჭერია 804 ოთხკუთხი საჟენი. ყოველ განყოფილებაში დაეტევა 24 სამას ვედრიანი ბოჩკა. სარდაფებში უმთავრესად სამას ვედრიანი ბოჩკებია. ოცდა-ათი ისეთი ბოჩკებიც არის, რომელშიაც 600 ვედრაზედ მეტი ჩადის. არის ისეთებიც, რომ ერთს ოჯახს, საწოლ ოთახადაც, მისაღებ სასტუმროდაც და სამზარეულოდაც ეყოფა. ყველა ეს ბოჩკები დანიშნულია ღვინის დასაყენებლად, გასაგზავნად-კი პატარ-პატარა ბოჩკებია 20 ვედრიანი. მასალა ამ ჭურჭლისათვის იჭრება თვით თავ. მუხრან-ბატონის მუხის ტყეში, თიანეთის მაზრაში.

ასს ნაბიჯზედ სარდაფებიდგან თავადს გამართული აქვს ორი არყის ქარხანა, ერთში ჭაჭისაგან ხდიან სპირტს, მეორეში ეს სპირტი იწმინდება და სრულებით მზადდება.

ქარხნების გვერდით კიდევ ორი სახელოსნო არის გაშენებული. ერთში მზადდება ყოველივე ხის მასალა: ბოჩკები, ურმები, ყურძნის კიდობნები და სხვ. მეორეში არის სამჭედური, სადაც ყოველივე საჭირო ბოჩკებისათვის და მთელი მამულის მართვისათვის რკინეულობა მზადდება.

სარდაფები იმ გეგმაზე არის მოწყობილი, რომ 100 ათასი ვედრო ღვინო დაიტიოს.

ამ ჟამად თავადის სარდაფებში შენახულია სხვა-და-სხვა წლის ღვინოები 70 ათასი ვედრა, ღირებული ერთ მილიონ მანათამდე. არის 25, 20, 15 წლის ღვინოები.

უმთავრესად საქებურ ღვინოებად ითვლებიან ესრედ წოდებულნი: წმ. ნინო, წმიდა გიორგი, რქა-წითელი, დამპალო და საფერავი.

მუხრან-ბატონის ღვინო უფრო რუსეთში და საზღვარ-გარეთ ისყიდება. სხვა-და-სხვა გამოფენებზე ღვინის ასეთ კარგათ დაყენებისათვის მიღებული აქვს ჯილდოთ, სხვათა შორის, რუსეთის სახელმწიფო ღერბი და პარიზის გამოფენის ოქროს მედალი. საფრანგეთის მართებლობამ იშვიათი ჯილდო—წოდება „Officier de mérite agriocole“ უბოძა ამ ვენახების გამშენებელს თავ. ი. მუხრან-ბატონს. ეხლანდელი პატრონი ამ დიდებულ მამულისა თავ. კ. მუხრან-ბატონი დიდის გულ-მოდგინებით უძღვება მამისაგან დანატოვებ საქმეს. მამულიც მმართველად და ღვინის დასაყენებლად მცოდნე, ნასწავლი პირები ჰყავს მოწვეული.

დგა და წყალმა იკლო; დანგრეულს ხიდს კიბე მიადგეს და ცოტა ხანს შემდეგ ბორანიც გააკეთეს ხიდს ცოტა ქვემოდ. მითომ წყალი ამას დაკმაყოფილდა და გორელებს ეს უბედურებანი აკმარა? არა რამდენს დედა და ცოლი აუტირა, რამდენს უდროვოდ მოუსპო სიცოცხლე, ისეც მცირედი. დიახ ბევრი უბედურება მიაყენა ძველმა წელიწადმა. რატომ სხვა წლებში არ ხდებოდა ემოდენი უბედურებანი; წყალდიდობა, მოუსავლობა, კაცის კვლა, ქალების ტაცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, და მრავალი სხვა ავკაცობა. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა ამდენის უბედურობისაგან და წუწუნებს: „სულ ყველა მეორედ მოსვლის ნიშანია, ეტყობა ის ჩქარა უნდა იყოსო.“ მართლაც რომ წასვლა მისი, წარსული წლისა, და ნუღარ მოსვლა. ხსენებულ და კურთხეულ იყოს სახელი მისი უკუნისამდე ტარტაროზთა საბრძანებელში.

⁂ **იქიდგანვე.** უქმეებმა კარგად ჩაიარეს და მხიარულად. არც ძალიან ციოდა და არც თუ ცხელოდა. კარგი ეგ იყო, რომ თოვლი და ტალახი არ ყოფილა. ქუჩები ისე იყო გატკეცილი, თითქმის სარკე. მაგრამ დარმა გუშინ, წყალ-კურთხევას, კი შეგვარცხვინა. წინა ღამესვე დაიწყო ცამ ტირილი და მეორე დღეს „სწორედ ჯვრის გამოსვენების დროს თოვლმა წამოაყარა. ეს თოვლი წვიმამ შესცვალა და მოდიოდა თითქმის შუადღემდის ხალხი ბევრი დაესწრო წყლის კურთხევას, მაგრამ უფრო ბევრის იმედი გვქონდა, რომ ავდარს არ დაეშალნა. ეხლა დიდი ტალახია. „ ახალ 1897 წლის დაპირება სრულდება და ხიდს გვიმართავენ. მასალა უკვე შემზადებულია და დღეს მუშაობას შეუდგნენ.

⁂ **ზოლას ახალი რომანი.** ემილ ზოლას 1 იანვარს დაუწყვია ახალის რომანის წერა. რომანს სახელად ეწოდება „პარიზი“. მზად იქნება ათი თვის შემდეგ.

⁂ **საკვირველი გემი** კეთდება ამ ჟამად ამერიკაში. გემი წყლის ქვეშ ივლის თურმე. როცა საჭირო იქმნება, წყალს ზევითაც ივლის, როგორც სხვა ყველა გემები. გემზედ ჯოჯოხეთის მანქანაც იქნება მტრის გემების ასაფეთქებლად.

⁂ **რუსულ გაზ.** „С.-Петерб ВѢДОМОСТЬ“-ის პირველ ნომერში დაბეჭდილია ერცელი წერილი შესახებ კალანდობისა საქართველოში. წერილში დაწვრილებით მოხსენებულია ყველა ჩვეულებანი და ადათნი ქართველთა ახალ წელიწადს. ამავე წერილთან დაბეჭდილია კალანდობა მალოროსიაში.

⁂ **რუსულ გაზეთ** „Міров. ОТГОЛОСКИ“--ს პირველსავე ნომერში დაბეჭდილია ცნობილ მეცნიერის და სწავლულის პროფესორის თავ. ივანე თარხნიშვილის საუცხოვო წერილი სახელდობრ „მწერლობის იდეალები“ (идеалы печати). წერილი ჩვეულებრივის გრძნობით აღსავსე პატიოსნებით არის გამსჭვალული.

⁂ **გაზეთების იუბილეი.** ამ წლის პირველ იანვარს შეუსრულდა გაზეთ „გრაჟდანინს“ ოც-და-ხუთი წლის იუბილეი. „გრაჟდანინი“ დააარსა ცნობილმა რომანისტმა თავადმა ვლადიმერ პეტრეს ძე მეშჩერსკიმ. მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის, თუ რა მიმართულების არის გაზეთი „გრაჟდანინი“ და მისი სულის ჩამდგმელი თავადი მეშჩერსკი. არც ერთი დრო გამოშვებითი გაზეთი რუსეთისა, «მოსკოვის ვედომოსტების» გარდა, არ თანაუგრძნობს თ. მეშჩერსკის «გრაჟდანინს», მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ამბობს «სანკტ პეტერბურგის ვედომოსტის» რედაქტორი თავადი ესპერ უხტომსკი, არ შეიძლება პატივით არ მოვიხსენიოთ ის კაცი, რომელიც აგერ ოც-და-ხუთი წელიწადია იღწვის და დღე მუდამ წყევას და ლანძღვა-დაცინვას ისმენს ყველა გაზეთებიდგან და ხალხისაგანაც აბუჩად არის აგდებულიო, რადგან, რაც უნდა იყოსო თავ. მეშჩერსკი გულწრფელი და შეუსყიდველი მოღვაწეა, თუმცა უკუღმართი მიმართულებისაო. გაზ. „გრაჟდანინში“ ყოველთვის ყურადღებას იქცევს ხოლმე თავ. მეშჩერსკისავე წერილები სახელდობრ „დღიურები“ (ДНЕВНИКЪ).

წარსულ წლის 21 დეკემბერს პეტერბურგში უდღესასწაულიათ გაზ. „სვეტი“-ს 15 წლის იუბილეი. გაზეთი «სვეტ» დააარსა 1881 წელს ბესარიონ კომაროვმა და დღემდე მის ლოტბარობით არსებობს. გაზეთი პატარა ზომისაა, ჩვენი წარსულის წლის „ცნობის ფურცელზე“ ცოტა პატარა, მაგრამ სამაგიეროდ შიგ მრავალი ცნობები იბეჭდება და მის სიტყვებს ბევრნი უგდებენ ყურს, როგორც რუსეთში, აგრეთვე უცხოეთში. გაზეთის რედაქტორს, თურმე, თანამშრომლებმა, რედაქციის მსახურებმა და სტამბის ასოთ-ამწყობმა ძვირფასი საჩუქარი მიართვეს: ვერცხლის დიდი ალბომი, თავიანთის სურათებით; ალბომის ყდა თურმე ვერცხლისაგან არის ხელოვნებით გაკეთებული და წარმოადგენს გაზეთ „სვეტ“-ის ორ ნომერს, პირველი 1881 წლის პირველი ნომერი და მეორე 1896 წლის პირველი ნომერი.

⁂ **ქალთა მეფობა.** დღე მუდამ ქალები თანდათან უფრო იკვლევენ გზას საზოგადო ასპარეზზე და ნელნელა ხელიდან აცლიან მამაკაცებს მათს საქმეს და თანამდებობას. ამ ჟამად ამერიკის ერთს შტატში მისისიპში ორს დიდს ქალაქს დეკატურსა და მარკელუგში ქალებს უჭირავთ ყველა საზოგადო ადგილები. უფროსი ექიმი ქალია, საუკეთესო და მჭევრმეტყველი მქადაგებელი ქალია, ქალაქის თავი ქალია, უმთავრეს სავაჭრო სახლების და რესტორანების გამგებელნიც ქალებია. ქალები ჰკერვენ ფეხსაცმელებს, ტანისამოსებს, ქალებია მხატვრები, ქალები ვაჭრობენ, ქალები დალალობენ და ქალივეა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების უფროსი და მოხელეებიც ხომ ქალები არიან.

⁂ **ღვინის სმის წინააღმდეგი.** სტოკჰოლმის გაზეთებში შემდეგი ახირებული ამბავი სწერია. მეფე ოსკარს თავის დაბადების დღეს გაუგზავნია, თურმე, სტოკჰოლმის ციხის ჯარისთვის რამოდენიმე ბოთლი ფუნში საჩუქრად. ბოთლების წაღება დაუვალებიათ ერთი უნტერ-ოფიცერისათვის, რომელსაც უარი უთქვამს წაღებაზე, იმ მოსაზრებით რომ ღვინო მავნებელია, რადგან კაცს ათრობსო, და მეც ღვინის სმის წინააღმდეგი საზოგადოების წევრი ვარო. რა თქმა უნდა ასეთი პასუხისათვის უნტერ-ოფიცერი დაუტუქსავთ და ხელ ახლად უბრძანებიათ ბოთლები ჯარის კაცისთვის წაეღო და თან ერთი ჯარის კაციც გაუყოლებიათ, ჯიუტ უნტერ-ოფიცერს ხსენებული ბოთლები ზღვაში გადაუყრია. ამის გამო სამხედრო სასამართლოში მიუციათ ამ საქციელისათვის მიუსაჯიათ რვა დღით დაპატიმრება და ღირსების ახდა.

რკინის გზის ამბები.

სად. ფოთიდან. 6 იანვარს ღამით 30 ვერსზე გზის ყარაულის პახულა ქვარცხავას სახლი გაქურდეს. ქურდებმა იდროვეს, როდესაც ყარაული წავიდა ლიანდაგის დასათვალიერებლად, რაც რამე გააჩნდათ, წაიღეს.

სადგ. გრაკალი. 6 იანვარს სადგურ კასპსა და გრაკალ შუა მატარებელში, № 45-ში, ერთ ნავთის ვაგონს, რომელიც ბოლოდან მეორე ვაგონათ იყო მატარებელზე მობმული, გაუჩნდა ცეცხლი. კონდუქტორებმა მატარებელი გააჩერეს, ცეცხლ-წაკიდებული ვაგონი მოაშორეს და ცეცხლი დააქრეს.

სად. ტფილისი. დღეს, 8 იანვარს, ნათლუხიდან ტფილისისკენ მომავალი მატარებელი № 36 რომელსაც, 50 ვაგონი ნავთით დატვირთული მოჰქონდა 123 ვერსზე გაწყდა შუაზე. მერე ორად მიიტანეს სადგურზე, რის გამოც ხალხის მავალ მატარებელს № 1 დააგვიანდა 42 წამი.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 3 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება ერთ სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქისა სოლომონ აკოფას-ძე კუხიკვისა, რომელიც იმყოფება სოლოლაკში. მიწის ზომა $21^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. დაფასებულია 216 მანათად.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაკვისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

სურამას სასამართლოს ბოქაული ნ. ჰანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) გნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა $^{1}/_{76}$ ნაწილი „საციციანო მთაში‘‘ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ეგნატია გიორგის ასულის ორჯონიკიძისა, ძველით სავანელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ბ-ლიძესი.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

პეტერბურგის ბირჟა

კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 7 იანვარი 1897 წ.

ვექსელ. კურსი 3 თვით:

ლონდონისა 10 გირ. სტ—ში	93,60
ბერლინისა 100 მარკაში	45,85
პარიზისა 100 ფრანკში	$37,22^{5}/_{8}$
მდგომარეობა ვექს. კურსისა	მშვიდია
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,50
ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.)	149
ბირჟის დისკონტი	$5^{3}/_{4}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$99^{1}/_{4}$
4% შინაგანი სესხი 1 სერიისა	$98^{3}/_{4}$
$4^{1}/_{2}$% „ „ 1893 წლ.	$101^{1}/_{8}$
$4^{1}/_{2}$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა	101
4% „ „ „ „ „	$97^{1}/_{2}$
$4^{1}/_{2}$% მოწმ.საკრ.საად.-მამ. ბ.	101
5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ.	$287^{1}/_{2}$
5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ.	260
5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ.	$212^{1}/_{2}$
„ ოქროს რენტა 1884 წ.	—
$4^{1}/_{2}$% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად.	156
5% სახელ. რკინ. გზ. რენტა	—
$4^{1}/_{2}$% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ.	$101^{1}/_{2}$
„ „ 2 გამ. 1892 წლ.	$101^{1}/_{4}$
4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ.	$152^{1}/_{2}$
$4^{1}/_{2}$% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ.	101
„ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ.	101
„ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ.	101
4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ.	97
$4^{1}/_{2}$% სესხი ქ. პეტერბურგ.	$99^{3}/_{4}$
$4^{1}/_{2}$% „ „ ქ. ოდესისა	95
5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ.	$101^{1}/_{2}$
$4^{1}/_{2}$% „ „ „ „	98
5% მოსკოვისა	101
$5^{1}/_{2}$% ობ. ოდეს. საკრ. საზ.	$101^{3}/_{4}$
5% „ „	100
5% ტფილისის	$98^{3}/_{4}$
$5^{1}/_{2}$% გირავნ. ფურც. ხერს.	$100^{5}/_{8}$
5% საად. მამულო ბანკისა	$100^{5}/_{8}$
$4^{1}/_{2}$% „ „ „ „	$94^{3}/_{4}$
5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ.	$100^{5}/_{8}$
$4^{1}/_{2}$% „ „	95
5% ვილენის	$100^{1}/_{2}$
„ დონისა	$100^{5}/_{8}$
„ კიევისა	$101^{1}/_{4}$
$4^{1}/_{2}$% ,, „	$95^{3}/_{8}$
5% მოსკოვისა	$101^{1}/_{8}$
,, ნიჟ-სამარისა	$101^{1}/_{4}$
„ პოლტავისა	$100^{3}/_{4}$
$^{1}/_{2}$% „ „	$95^{3}/_{8}$
5% ტულისა	$101^{3}/_{4}$
„ ხარკოვისა	$101^{3}/_{4}$
$4^{1}/_{2}$% „	$95^{3}/_{4}$
6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „	$99^{3}/_{8}$
6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „ „	$99^{1}/_{8}$
აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ.	523
„ პეტ. უჩოტ. და სესხ.	725
„ პეტ. ერთა-შორებრივ.	637
„ რუსეთის შინაგ. ვაჭ.	$456^{1}/_{2}$
„ ვოლგა-კამას კომერ.	1320
„ პეტერბ.-მოსკოვის კომ.	$407^{1}/_{2}$
„ პეტ.-აზოვის კომ.	408
„ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან.	$378^{1}/_{2}$
„ აზოვი-დონის კომ. ბან.	610
„ ვარშავ. კომერ.	490
„ მოსკოვ. საერთაშ. ბან.	462
„ ციმბირისა	683
„ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ.	640
„ ვილენისა	590
„ დონისა	685
„ კიევისა	790
„ მოსკოვისა	140
„ ნიჟეგოროდ. და სამარის	690
„ პოლტავისა	607
„ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ.	403
„ ხარკოვის საად.-მ. ბან.	467
„ პეტერბ. განათ. საზოგ.	137
პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად.	9650
აქციები „ „ „	485
„ პუტილ. ქარხნის საზოგ.	121
„ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ.	$508^{1}/_{2}$
აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“	209
„ რუს. და ბელგ. მეტალ.	255
„ მალცევის ქარხნებისა	645
„ რუს. ოქრ. საზოგად.	$291^{1}/_{2}$
„ რუს. დამზ. საზ. 1827 წ.	1550
„ ,, ,, ,, 1835 წ.	340
„ დამზ.საზ. „სალამანდრა“	500
„ პეტერ. დამზღ. საზოგ.	447
„ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ.	825
„ დამზღ. საზ. „როსსია“	390
„ საზ. ,,რუსს. ლლოიდ“	1100
„ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ.	134
„ დამზღვევი საზოგად. კ. ,,ნადეჟდა‘‘	250
„ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო	598
„ საზ. „კავკაზ და მერკურ“	450
„ ნავოსნ. დნეპრზე	93
„ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ.	495
„ კიევი-ვორონეჟ.	453
„ რიბინსკისა	$170^{1}/_{4}$
„ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ.	$185^{1}/_{4}$

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მკვიდრია.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 ცხმოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევს 1 ს. 10 წ.; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათენს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავ მეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათენს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათენებენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სახელმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

აბრეშუმის ჭიის თესლი

ბაღდადის ჯიშისა (ოსმალეთიდამ) თესლი დამზადებულია პასტერის სისტემაზედ.

კარგად მომზადებული ჭიის თესლი პასტერის სისტემით, როგორც მოეხსენებათ ნაწილ მეაბრეშუმეთ, კარგის მომვლელის ხელში ერთი მისხალი იძლევა 30 გირვანქა ჭიის პარკს. ეს თესლი იყიდება პატარა ყუთებით, შვიდ-შვიდი მისხალი თითოში.

მსურველმა უნდა მიმართოს დ. ხონში სარდიონ ლუკას—მე ლომიძეს. (8—3)

გამოვიდა ახალი წიგნი

მთიულეთი 1804 წ.

ა. ფრონელისა.

ფასი 70 კ.

იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. წმინდა შემოსავალი გადადებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. (15—8)

ქართული

გოტიკური ანბანი

ფასი შაური

იყიდება ყველა ქართულ წიგნების მაღაზიაში

(4—4)

ПЕРВЫЙ ВЪ РОССІИ ЖУРНАЛЪ, ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ КРАСКАМИ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ НА

X-й годъ изданія. **„СѢВЕРЪ“.** X-й годъ изданія.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ.

Въ 1897 г. журналъ будетъ выходить въ томъ же форматѣ на веленевой бумагѣ и въ изящной обложкѣ.

Въ литературномъ и художественномъ отношеніяхъ редакція неуклонно будетъ стремиться дать своимъ подписчикамъ наиболѣе выдающіяся произведенія писателей и художниковъ, какъ русскихъ, такъ и иностранныхъ, за силу таланта и извѣстность которыхъ достаточно говорятъ такія имена какъ: Н. А. Александровъ, А. В. Амфитеатровъ (Old gentleman), А. Афанасьевъ, И. Бунинъ, Ю. Бѣляевъ, Васильковскій, Θ. Карѣевъ, А. А. Коринфскій, А. В. Кругловъ, К. И. Льдовъ, В. С. Лихачевъ, В. И. Немировичъ-Данченко, В. Никольскій, И. Позняковъ, И. Н. Потапенко. гр. Е. А. Саліасъ, К. К. Случевскій, М. Славинскій, проф. Н. Сорокинъ, К. Фофановъ, О. Чумина. I. I. Ясинскій и художниковъ: проф. К. Айвазовскій, В. М. Васнецовъ, М. А. Зичи, Н. Н. Каразинъ. К. Кондратенко, проф. Л. Лагоріо, проф. В. Маковскій. проф. А. Мещерскій, академикъ А. И. Новоскольцевъ, проф. Г. Семирадскій. проф. П. Сверчковъ, Н. Соколовъ, Шильдеръ, проф. И. И. Шишкинъ и др. произведенія которыхъ были помѣщены въ 1896 г.

Въ 1897 г. подписчики журнала „Сѣверъ“ получатъ:

52 №№ роскошно иллюстрированнаго журнала, изъ которыхъ съ цвѣтными и тоновыми рисунками извѣстныхъ художниковъ **12 №№**

Съ № 1-го будетъ печататься большой новый историческій романъ нашего извѣстнаго писателя и сотрудника „Сѣвера“ Гр. Е. А. Саліаса:

„ВТОРАЯ САЛТЫЧИХА“

12 №№ ежемѣсячнаго журнала **„ПАРИЖСКІЯ МОДЫ“** со множествомъ рисунковъ въ текстѣ, выходящихъ одновременно съ однимъ изъ извѣстныхъ парижскихъ модныхъ журналовъ, съ которымъ редакція вошла въ соглашеніе.

12 №№ Выкроекъ, узоровъ, рукодѣлій, вышивокъ и монограммъ на отдѣльныхъ листахъ.

12 №№ ежемѣсячнаго журнала **„ХОЗЯЙСТВО и ДОМОВОДСТВО“**, въ которомъ будутъ даваться всѣ полезные совѣты и указанія, необходимыя для сельскаго хозяйства и домашняго обихода.

12 томовъ **„БИБЛІОТЕКИ СѢВЕРА“**, каждый томъ объемомъ отъ 10 до 15 листовъ убористой печати, въ которыхъ будетъ дано:

Собраніе романовъ

ГЕНРИКА СЕНКЕВИЧА:

1) „Огнемъ и Мечемъ“ историч. ром. въ 4 ч. 2) „Потопъ“ истор. ром. въ 6 ч. 3) „Панъ Володыевскій“ историч. ром. въ 3 ч.

Романы эти, не говоря уже объ ихъ глубоко захватывающемъ интересѣ, представляютъ весьма цѣнное пріобрѣтеніе для библіотеки каждаго читателя.

Въ отдѣльной продажѣ подобныя изданія стоютъ не менѣе 12 руб.

КРОМѢ ТОГО ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ

БЕЗПЛАТНО:

12 художественныхъ премій—**КАРТИНЪ ВЪ КРАСКАХЪ**, исполненныхъ новѣйшими усовершенствованными фото-и хромотипическими способами.

Несмотря на необходимость весьма большихъ затратъ для такого дорогого и роскошнаго изданія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ:

6 р. Безъ доставки въ С.-Петербургѣ.

Допускается разсрочка: при подпискѣ—4 р., къ 1-му Іюня 3 р.

Съ доставкою и пересылкою во всѣ города **7 р.**

За границу 11 р.

Адресъ Главной конторы жур. „Сѣверъ“: Спб. Екатерининская, 4.

Редакторъ Н. А. Александровъ

Издатель Н. Θ. Мертцъ

(6—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на

С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ

въ 1897 г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Безъ казенныхъ прибавленій.

	на годъ.	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс. к.
Съ достав. по гор. почтѣ	16 р. —	9 р. —	4 р. 50 к.	1 р. 80 „
Съ пересылкою иногор.	17 „ —	10 „ —	5 „ 50 „	2 „ — „
За границу	26 „ —	14 „ —	8 „ — „	3 „ — „

Съ казенными приб.

	на годъ	6 мѣс.
— — —	18 р. —	10 р. —
— — —	19 „ —	11 „ —
— — —	28 „ —	16 „ —

Подписка на газету съ казенными прибавленіями принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

Подписка принимается: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерная, 26, и въ книжномъ магазинѣ Мелье (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Петровскія линіи, № 61.

Иногородные адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

Редакторъ-издатель Князь Э. Э. Ухтомскій.

(10—5)

მომავალს 1897 წელს

„მეურნე“

(წელიწადი მეათე)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

მომავალს წელს რედაქცია წინანდელებრ ერთგულად ეცდება რა გამოარკვიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობს ეკონომიურსა და საჭიროებო ნაწილს ჟურნალისას. თანამშრომლების მომატება მწერლობაში ცნობილ პირთაგან სრულ იმედს გვაძლევს, რომ 1897 წელს გაუმჯობესებულად შევსძლებთ მარჯვეთ ვემსახუროთ გონიერს საგნებზე და არსებითს საქმეებზე კითხვას მოწყურებულს ქართველს საზოგადოებას.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ.

რედაქციას მომავალ წლისათვის მზად აქვს შემდეგი წერილები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა; 2) მადნები ქუთაისის არე-მაში, ბ-ნის დავიდოვისა; 4) კოოპერატიული საზოგადოებანი, ი. ზუმბასი და სხვ.

ხელმოსაწერი ფასი—წლით ოთხი მანათი, ნახევარის წლით ორი მანათი და ათი შაური.

ვინც ჟურნალზე საგაისოდ წრეულს მოაწერს ხელს და ხვედრს ფულსაც გადიხდის, მას ფულის შემოტანის დღიდგან გამოსული წლევანდელი ნომრები გაეგზავნებათ **უსასყიდლოდ.**

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція **„МЕУРНЭ“**

(5—4)

XXVIII г. **открыта подписка на** ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ **1897** г.

„НИВА“

выходящій еженедѣльно, со многими безплатными приложеніями.

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1897 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала «Нива», заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

12 ТОМОВЪ собранія романовъ, повѣстей и разсказовъ

П. Д. БОБОРЫКИНА,

избранныхъ авторомъ и „Нивою“ изъ числа лучшихъ его произведеній и представляющихъ все наиболѣе выдающееся и цѣнное, что было написано П. Д. Боборыкинымъ въ послѣднія 25 лѣтъ, начиная съ появленія его извѣстнаго романа „Китай-городъ“.

Собраніе романовъ, повѣстей и разсказовъ П. Д. Боборыкин будетъ отпечатано на хорошей глазированной бумагѣ, въ 12 томахъ, которые, подъ заглавіемъ „Сборникъ Нивы“, будутъ выходить въ началѣ каждаго мѣсяца и заключать въ себѣ:

Томъ I. „Китай-городъ“. Романъ въ 5-ти книгахъ. Томъ II. „Безъ мужей“. Повѣсть. „Псарня“. Разсказъ. „Умереть—уснуть“. Разсказъ. „Пристроился“. Повѣсть. „Безвѣстная“. Разсказъ. Томъ III. „По чужимъ людямъ“. Разсказъ. „За красненькую“. Разсказъ. „Послѣдняя депеша“. Разсказъ. „Три афиши“. Разсказъ. „Голубой лифъ“. Разсказъ. „У плиты“. Разсказъ. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Часть I. Томъ IV. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Части II и III. Томъ V. „На ущербѣ“. Романъ въ трехъ частяхъ. Томъ VI. „Обречена“. Повѣсть. „Проѣздомъ“. Повѣсть. «Вторая отъ воды». Разсказъ. „Въ отъѣздъ“. Разсказъ. Томъ VII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Части I и II. Томъ VIII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть III. „Съ убійцей“. Повѣсть. „Горленки“. Разсказъ. Томъ IX. „Ходокъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Томъ X. „Поумнѣлъ“. Повѣсть. „Измѣнникъ“. Повѣсть. „Морзъ и Юзъ“. Разсказъ. Томъ XI. „Ранніе выводки“. Повѣсть. „Трупъ“ Разсказъ. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть I. Томъ XII. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Части II и III.

При первомъ томѣ будетъ приложенъ гравированный на стали Ф. А. Брокгаузомъ въ Лейпцигѣ портретъ съ автографомъ П. Д. Боборыкина.

12 КНИГЪ „Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній“, которыя будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ.

12 №№ **„парижскихъ модъ“**, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„стѣнной календарь“ на 1897 г., печатанный красками.

Подписная цѣна на годовое изданіе „Нивы“ со всѣми вышеозначенными приложеніями: безъ доставки въ СПБ. 5 р. Съ доставкою въ СПБ. 6 р, 50 к. Безъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Печковской) 6 р. Съ пересылкою во всѣ города и мѣстнос Россіи 7 р. За-границу 10 р.

Требованія просятъ адресовать въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „Нива“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22.

6—3

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 го Января, 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.